სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 145 (259) | ხუთშაბათი, 28 დეკემბერი | 1944 წ.

უფროს სერჟანტ ხახიაშვილის ათეული ემზადება საბრძოლო მომზადებაში საფრონტო დათვალიერებისათვის

ახალი სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან უფროსი სერჟანტ ხახიაშვილის ათეული ბოლშევიკურად ემზადება სხვადასხვა გვარეობის ჯარების საუკეთესო ათეულების, ეკიპაჟების, გუნდების, რგოლებისა და ოცეულების საბრძოლო მომზადების საფრონტო დათვალიერებისათვის.

ათეულში მაღალშეგნებულობაა მაღალი დისციპლინა. აქ ეფექტურად იყენებენ სასწავლო დროის თითოეულ წუთს, ზუსტად სრულდება დღის განაწესი, სრულად მუშავდება ყველა სასწავლო საკითხი, რომელიც გათვალისწინებულია ძალუძ მეცადინეობის ცხრილით. ყოველივე ეს ათეულის მებრძოლებს ხელს უწყობს მათი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მკვეთრად ამაღლების საქმეში.

ათეულის მებრძოლებმა უკვე „კარგზე" და „ფრიადზე" აითვისეს მთიანი საგუშაგო პოსტისა და საკუჭნის სამსახური, მზირების მოქმედება დაზვერვაში. ისინი წარმატებით ამთავრებენ აგრეთვე ათეულის შეტევისა და თავდაცვითი ბრძოლის შესწავლას.

ითვალისწინებს რა ფრონტელთა საბრძოლო გამოცდილებას, ხახიაშვილის ათეულის პირადი შემადგენლობა შეისწავლა და ხელის ტყვიამფრქვევის საუკეთესოდ ცოდნასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს მოპირდაპირე სპეციალობათა დაუფლებას. მეცადინეობისაგან თავისუფალ საათებში მებრძოლები — მსროლელები სწავლობენ დაზგის ტყვიამფრქვევისა და ავტომატის მატერიალურ ნაწილს. ამ საქმეში მათ უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებები.

ფიზიკურ მომზადებაში ათეულმა მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებები. მებრძოლები საუკეთესოდ ისვრიან გრანატებს მიზანში და შორ მანძილზე, კარგად ასრულებენ ნორმატივებს ძელზე, ორძელზე, რგოლებზე და ა. შ. ასინი ფიზიკურ მომზადებას, ხელჩართულ ბრძოლას სრულჰყოფენ ტაქტიკურ მეცადინეობებზე.

სამწყობრო წვრთნა დამკვიდრდა უფროს სერჟანტ ხახიაშვილის ათეულის პირადი შემადგენლობის სწავლასა და ყოფაცხოვრებაში. მებრძოლები ჩაუქად გამოიყურებიან, ზუსტად ასრულებენ სამწყობრო მომზადების ილეთებს, მობრუნებას, მისალმებას და ა. შ.

თვალსაჩინოა ამხ. ხახიაშვილის ათეულის მომზადებაში მოპოვებული პირველი წარმატებები, მაგრამ საუკეთესო ათეულების, ეკიპაჟების, გუნდების საფრონტო დათვალიერებაში მონაწილეობის საპატიო უფლება რომ მოვიპოვოთ, საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი ვიწვალოთ.

პირველყოვლისა, მებრძოლებმა უნდა ჩაყაბათ მარშებში, ფიკარჯიშით დაბრკოლებათა ზოლების გადალახვაში, ეკ-წვრთნოთ მარშ-გადარბენისა და დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის შემდეგ ზუსტი ცეცხლის დაშენა პირადი და ჯგუფური იარაღით, იმ ვარაუდით, რომ საფრონტო დათვალიერებაში მოვალეობით 10 კილომეტრიანი მარშ-გადარბენის განხორციელებას არა უმეტეს 1 საათისა და 20 წუთის განმავლობაში. 10 წუთიანი დასვენების შემდეგ გადალახოთ 300 მეტრიანი ზოლი 12 წუთის განმავლობაში. ყოველმა მებრძოლმა 30 მეტრზე მიზანში უნდა მოახვედროს გრანატი. მარშ-გადარბენა და დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა ბოლოვდება შაშხანის მე-4 ვარჯიშის შესრულებით და ცალკეული სროლებით მე-2 ვარჯიშით სროლის კურსის (ომის დროის) მიხედვით.

ათეულს უნდა ჰქონდეს საუკეთესო სამწყობრო მომზადება, რათა დაწყობის დროს კომანდები — „სტანოვის" (დადექ), „რავნიაის" (სწორდი), „სმირნო" (სმენა), „ვოლნო" (თავისუფლად) სრულდებოდეს სწრაფად და სწორად. სხვა ილეთები, როგორიცაა რიგზე გათვლა და გათვლა „პირველ" — „მეორეზე", მობრუნება ადგილზე, და მოძრაობისას, დაწყობა ადგილზე, გაჯრა და მიჯრა, იარაღის ხმარების ილეთები, აიწყობილის „მზა" მდგომარეობიდან „საბრძოლო" მდგომარეობაზე დაყენება და ათეულის განაწყება ჯაჭვში უნდა სრულდებოდეს სასწრაფოდ. ეს ძირითადი დისციპლინები და სასწავლო საკითხები, რომლის მიხედვითაც მსროლელმა ათეულმა, ოცეულმა უნდა ჩააბაროს გამოცდა.

საფრონტო დათვალიერებისათვის მზადების დროს არ შეიძლება შემოიფარგლო მარტო მარშით, საიერიშო ზოლის გადალახვით, სროლით, ტანვარჯიშითა და სამწყობრო მომზადებით. „კარგზე" და „ფრიადზე" ნაკლებ ნიშანზე არ უნდა ავითვისოთ ფრონტის ჯარების საბრძოლო მომზადების პროგრამის სასწავლო საკითხები, რაც დაეხმარება თითოეულ ათეულს, ეკიპაჟს, გუნდს, რგოლს, ოცეულს ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავოს დათვალიერებაზე.

ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ შექმნა კომიტეტი ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავის ჩასატარებლად შემდეგი შემადგენლობით:

ბ. ა. ვედენსკი (კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ი. ბერგი, ა. ი. ბერტენოვი, ს. ი. ვავილოვი, ლ. მ. გავური, ა. ფ. იოფე, ი. გ. კაბანოვი, პ. ლ. კაპიცა, ნ. გ. კუზნეცოვი, ი. გ. კლიაცკინი, ვ. ლ. კომაროვი, ა. ი. კოვალენკოვი, ა. ლ. მინცი, ვ. ფ. მიტკევიჩი, ნ. დ. პაპალექსი, ი. ტ. პერესიპკინი, ი. ი. პეზინი, კ. ი. სერგეიჩუკი, ს. გ. სუვოროვი, ი. ი. ტერპუგოვი, ვ. ა. ფოკი, ი. დ. ფორტუშენკო და მ. ა. შატელენი.

კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებანი ა. ს. პოპოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მოაწყოს ლექციები და მოხსენებები, და აგრეთვე ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენცია 1945 წ. მაისში ქ. მოსკოვში, მიძღვნილი ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონებისადმი.

ურალელთა საახალწლო სტახანოვური ვახტი

ურალის საწარმოთა ათასობით ფრონტელი ბრიგადა დგება საახალწლო სტახანოვურ ვახტზე. ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის მუშებმა, რომლის ხელმძღვანელი მდივნის მოადგილე ამხ. ნოვოსელოვი, პირველ დღეს გამოუშვეს გრაფიკით გათვალისწინებულზე თითქმის ერთნახევარჯერ მეტი პროდუქცია. „ურალმაშზავოდში" მეინსტრუმენტე ზეიძავ ბრიგადის ინიციატივით ერთი ღირსშესანიშნავი დეტალის სახარატო დამუშავება შეცვლილია ტვიფრვით. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, 4 წუთის განმავლობაში ბრიგადამ 19 დეტალი ნიშნა გააკეთა. (საქტასი).

საბჭოთა კავშირის გმირი ნ. რაფიევი

უმცროსი ლეიტენანტი ნადჟაფგულუ რაფიევი სამამულო ომის პირველ დღიდანვე ფრონტზეა, ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ შეჭრილა მტრის ზურგში, მის ტანკს მოუკლავს ათობით ჰიტლერელი. იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით.

ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში [illegible] ვაჟკაცობა გამოიჩინა [illegible] და მეთაურმა ამხ. [illegible] მაღლიერმა სამ[illegible] სეულად შეაფასა [illegible] ლი ხალხის სახელ[illegible] ამხ. რაფიევს [illegible] თავდადებული ბრძოლ[illegible] ნიჭა საბჭოთა კავშირის გ[illegible] წოდება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

26 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე, ქალაქ დიონდიოშის ჩრდილოეთით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შალგო-ტარიანი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები მადიარ-ზაბარი, ფილეშ უტაში, ალშო-უტაში, ბარატონი, ზაბარი, ცერედი, ბარნა, რონა, ინასო, ალშო-კალფალვა, ფელშე-კალფალვა, ბაგლიაშალია, კიშ-ხარტიანი, ზოლ-ხარტიანი, მედიერი და რკინიგზის სადგური ალშო-პალფალვა. 24 და 25 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 940 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ შაჰის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის შალგოვი, ჩაიკოვი, რიბნიკი, ველიკიე კოზმალოვცი, ტეკოვი, კლეჩანი, ბორინ სეში, სვიატოი იური, ბრონაჩი, ტრბინია, ლონტოვი, შალოვი, მალიე ლუდინცე, ზალაბა და რკინიგზის სადგურები კოზმალოვცე, ზალაბა.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა ბუდაპეშტის შემოვლით დასავლეთიდან, მიაღწიეს მდინარე დუნაის, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ესტერგომი, დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები დოროგი და ტატი და ამით დაამთავრეს მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დაჯგუფების გარშემორტყმა. ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ბუდაპეშტის დასავლეთი გარეუბნები — ბუდაფოკი, ბუდაერში, ზუგლიგეტი, კიუველაპი, ხარშაკალია, კესტხიდეგკუტი, პილიშვერეშვარი, პილიშბოროშენე, ჩურიჩი, დასახლებული პუნქტები ჩოლანკა, პომაზი, კესტელცი, ბაინა, ტარიანი, ვერტეშსელო, ოროსლანი, ჩაკვარი და რკინიგზის სადგურები პილიშვერეშვარი და საარი.

25 დეკემბრის ბრძოლებში ბუდაპეშტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.340 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

25 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 27 თვითმფრინავი.

27 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

27 დეკემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ შაჰის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები კოლარი, ველიკაია ჩალომია, კოსიხი, ბალოგი, ველიკაია ვესი, სეჩანკი, ნეკია, კლენიანი. ამავე დროს შაჰის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებით ბრძოლებს მოწინააღმდეგისაგან მდინარეებს იპელსა და გრონს შუა მდებარე რაიონის გასაწმენდად. 26 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.510 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. ამასთან დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე დაიკავეს გარეუბნები — ჩემერი, მაგლოდი, ეჩერი, ვეჩეში და დასავლეთ ნაპირზე — კელენფელდი, ბუდაკალასი, ბეკაშმეგიერი, აგრეთვე დასახლებული პუნქტები პილიშსანტო, იზბეგი, სენტენდრე. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა გადალახეს დუნაის აღმოსავლეთი ტოტი, ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, დაიკავეს კუნძული და ამ კუნძულზე არსებული დასახლებული პუნქტები ტოტფალუ, პოჩმეგიერი, სიგეტმონოშტორი და კავშირი დაამყარეს იმ ნაწილებთან, რომლებმაც დუნაის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს სენტენდრე. ამრიგად შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ორ ნაწილად გაჰკვეთეს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფება, ერთი მათგანი შეამწყვდიეს მთიან-ტყიან რაიონში, დუნაის მოსახვევში ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე მარწუხში მოაქციეს ქალაქ ბუდაპეშტში. 26 დეკემბრის ბრძოლებში ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს ორ ათასზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ სეკეშფეხერვარის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევითი ბრძოლებით სწმენდდნენ მოწინააღმდეგისაგან მთიან-ტყიან რაიონს, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ფელშე გალა, დასახლებული პუნქტები ნიერგეშუიფალუ, ბაიოტი, ლაბატლანი, პისკე, შიუტე, ტარდოში, ტოლნა, ტატაბანია, ბანხიდა, ქეხანიაში, კაპოლნაპუსტა, ბანტი, ჩაკბერენი და რკინიგზის სადგურები ნიერგეშუიფალუ, შიუტე.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

26 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 74 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ შაჰის აღმოსავლეთით, ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელებს წაართვეს 9 ქვემეხი, 34 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის სამი საწყობი. ქალაქ შაჰის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა უკანასკნელ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგის დაჯგუფება და წარმატებით ბრძოლებს ეწევიან ჰიტლერელებისაგან მდინარეებს იპელსა და გრონს შუა მდებარე რაიონის გასაწმენდად. საბჭოთა ტანკები გერმანელთა განლაგებაში შეიჭრნენ და გაანადგურეს მთელი საარტილერიო პოზიციები, საწყობები და რამდენიმე შტაბი.

* * *

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორ-

(დასასრული მე-4 გვ.).

სასწავლო დღე
უფროს სერჟანტ ხახიაშვილის ათეულში

უფროს სერჟანტ ხახიაშვილის მსროლელი ათეული იბრძვის საფრონტო დათვალიერებაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეებშივე მებრძოლებმა ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს. ათეულში მნიშვნელოვნად ამაღლდა დისციპლინა და ორგანიზებულება, რაციონალურად იყენებენ სასწავლო დროს, ზუსტად სრულდება დღის განაწესი, სრულად მუშავდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო საკითხი.

ჩვენ ვბეჭდავთ ოცეულის მეთაურის თანაშემწის უფროს სერჟანტ ქ. ხატიაშვილის წერილს, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ იუწყლებიან მეომრულ ოსტატობას უფროს სერჟანტ ხახიაშვილის ათეულის მებრძოლები.

დილის ექვს საათზე

ბნელიანი ზამთრის გარიჟრაჟია. სინათლე ოდნავ გამოკრთის. ჯერ გაღვიძების სიგნალი არ ისმის, მაგრამ ყაზარმაში უკვე იგრძნობა, რომ მებრძოლები იღვიძებენ.

გაისმის კომანდა: — ადექით!

მებრძოლები სწრაფად დგებიან საწოლებიდან. გადის წუთნახევარი. უფროსი სერჟანტი ხახიაშვილი, რომელიც მეომრული სიჩაუქით გამოირჩევა, თვალ-ყურს ადევნებს თავისი ათეულის მებრძოლებს. მის გვერდში დგას ათეულის მეთაურის თანაშემწე უმცროსი სერჟანტი დევაძე. 1 წუთისა და 40 წამის შემდეგ წყობილებაში დგება რიგითი მებრძოლი დორეული. რიგითი მებრძოლი ჩხუტიშვილი იგვიანებს.

— ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ამხანაგო ჩხუტიშვილო წინასაღამოს უნდა მოამზადო, — შენიშვნას აძლევს უფროსი სერჟანტი.

ის ხედავს, რომ მებრძოლი ჩხუტიშვილი წყობილებაში დაგვიანების შიშით ჩქარობს, ნერვიულობს და არასწორად იხვევს წვივსახვევებს.

— ნუ ჩქარობთ, ყოველ საქმეში მშვიდი უნდა იყოთ.

წითელარმიელი ჩხუტიშვილი ძველმსახურია, მაგრამ ხანდახან ისიც საჭიროებს დახმარებას. ამჯერადაც ათეულის მეთაურმა ზედმეტად არ მიიჩნია ურჩევნოს მებრძოლს წვივსახვევის სწრაფად და სწორად შემოხვევის წესი.

ფიზდამუშავება და დილის ტუალეტი

ათეული ოცეულის შემადგენლობაში ფიზდამუშავებაზე გავიდა. ფიზდამუშავება ცოცხლად და ორგანიზებულად მიმდინარეობს. ზამთრის ცივსა და სუფთა ჰაერზე ყველა მებრძოლი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს. ისინი იჯანსაღებენ სხეულსა და კუნთებს.

რიგითი მებრძოლი ჩხუტიშვილი, რომელმაც ადგომის დროს შენიშვნა მიიღო, განსაკუთრებული მონდომებით ასრულებს მოძრაობის ყველა წესს.

გავიდა 15 წუთი. მებრძოლები სიმღერით ბრუნდებიან ყაზარმაში. ისინი იღებენ პირსახოცს, საპონს, კბილის საწმენდ ფხვნილს და პირსაბანთან მირბიან. დრო საკმაოა, მაგრამ თუ ნელა იმოქმედე, წყობილებაში ჩადგომა დაგაგვიანდება. დორეულს პერანგიც კი გაუხდია და ცივი წყლით იბანს ტანს.

— შენ რატომ არ იზელავ ტანს? — მიმართავს ის მეზობელს.

— ცივა, — უპასუხებს იგი.

— სწორედ იმიტომ გცივა, რომ გეშინია სიცივისა. ყოველდღიურად ცივი წყლით დაიბანე ზედა ტანი და ნერვებიც წესრიგში გექნება, კუნთებიც გაგიმაგრდება და სიცივესაც შეეშინდება შენი.

მებრძოლი მეგობრის კეთილ რჩევას ყურს უგდებს და ისიც პერანგს იხდის, ცივი წყლით იბანს ტანს. გელაშვილმა უკვე პირი დაიბანა და მაზარაზე ფოლაქს იკერებს, რომ მეცადინეობაზე მოხდენილად ჩაცმული გავიდეს. უფროსი სერჟანტი ხახიაშვილი თვითეულ მებრძოლს ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს.

მებრძოლმა დორეულმა პირველმა შეასწორა საწოლი და უკვე ფეხსაცმელს იწმენდს. მაგრამ მას საუბარი უყვარს და აი, ახლაც ლაპარაკში გაერთო. ის ვერ ამჩნევს, რომ წყობილების დადგომამდე 2 წუთიღა დარჩა.

— სწრაფად დაამთავრეთ წმენდა, — აფრთხილებს მეთაური.

ათეული დაწყობილია. მებრძოლები გაემართნენ პოლიტინფორმაციის მოსასმენად.

პოლიტინფორმაცია

ასეულის ოფიცერი ამხ. ტულუში დაწვრილებით უამბობს მებრძოლებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მითითებების მესამე ნაწილის შინაარსს. პოლიტინფორმაცია ცოცხალი საუბრის ხასიათს ატარებს.

— გერმანიის რომელი მოკავშირე ქვეყნები არიან გამოყვანილი მწყობრიდან, რომლებმაც ომიც გამოუცხადეს მას? — ეკითხება ოფიცერი მსმენელებს.

მებრძოლები ერთი წუთით ჩაფიქრდნენ, შესცქერიან რუკას. ხელსა სწევს რიგითი მებრძოლი დორეული. ის მზად არის შეკითხვაზე პასუხი გასცეს. მის შემდეგ ხელსა სწევს ჩხუტიშვილი და სხვ. ოფიცერი არ ჩქარობს, მოფიქრების საშუალებას აძლევს ყველას.

— ამხანაგო დორეულო, მიპასუხეთ.

მებრძოლი უახლოვდება რუკას.

— იტალიის შემდეგ მწყობრიდან გამოყვანილი იქნენ გერმანიის შემდეგი მოკავშირენი — ფინეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, — უპასუხებს დორეული, თანაც რუკაზე უჩვენებს, თუ სად იმყოფებიან ეს სახელმწიფოები.

— ვის მხარეზე იბრძვიან ახლა ეს სახელმწიფოები? — ეკითხება ოფიცერი გაგიევს.

წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმებით ეს სახელმწიფოები, — არამც თუ გამოვიდნენ ომიდან, არამედ ომიც კი გამოუცხადეს გერმანიას.

— ნება მომეცით დავუმატო. — სიტყვას თხოულობს უფროსი სერჟანტი ხახიაშვილი.

— დაუმატეთ.

— ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ უახლოეს დროში გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში — უნგრეთი გამოყვანილი იქნება მწყობრიდან. მაშინ გერმანია მთლიანად, იზოლირებული აღმოჩნდება და წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეთა ჯარების ერთობლივი დარტყმებით დადგება მისი აღსასრული.

უფროსი ლეიტენანტი ტულუში პოლიტინფორმაციას ცოცხლად და საინტერესოდ ატარებს. ის ცდილობს, რომ მებრძოლები ყველა საკითხში გაერკვნენ და თემაც აითვისონ.

პოლიტინფორმაცია დამთავრებულია.

საუზმე

ხახიაშვილის ათეულის ჯარისკაცები სასადილოში მიდიან. ხუმრობით, მორიგესთან და ღვიძლთან ერთად პური გაამზადა და მაგიდაზე დაალაგა. მზარეულ არზუმელაშვილს სწრაფად მოაქვს მებრძოლებისათვის მსუყე ქაში.

— ვის დავუმატო? — ეკითხება მზარეული მებრძოლებს.

— გმადლობთ! — უპასუხებენ მებრძოლები. — ისედაც მაძღარნი ვართ.

როგორც ყოველთვის, ახლაც დღესაც მზარეულმა მსუყე და გემრიელი ქაში მოამზადა. მებრძოლებმა მადიანად ისაუზმეს, მიიღეს მატერიალური ნაწილი და სამეცადინოთ გაემართნენ.

ტანვარჯიშში

პირველ ორ საათს ტანვარჯიშში ტარდება. სასწავლო დროის ყოველი წუთის რაციონალურად გამოყენებისათვის უფროსმა სერჟანტმა ხახიაშვილმა ჯერ კიდევ გუშინ მოამზადა ხელის ტყვიამფრქვევის მემანქე დევაძე და დღეს დაავალა მას მებრძოლთა ჯგუფი ლერძზე ავარჯიშოს.

ათეულის მეთაური მებრძოლებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. დორეული უხალისოდ მიდის ორძელთან, არასწორად ასრულებს ვარჯიშს.

— არვარგა, — შენიშნავს უფროსი სერჟანტი.

მებრძოლი წყობილებაში დგება. მიუთითებს რა შეცდომაზე, ხახიაშვილი კომანდას იძლევა:

— წითელარმიელო დორეულო, ტანვარჯიშის იარაღთან.

რიგითი მებრძოლი ამჯერად სწორად და ზუსტად ასრულებს მეთაურის მოთხოვნას. სწორად ბრუნდება, მიდის ტანვარჯიშის იარაღთან.

დევაძეც აგრეთვე მომთხოვნია. გელაშვილი, ნაცვლად სამისა ორჯერ აკეთებს ძალას და სცილდება ლერძს.

— გააკეთეთ მესამეჯერაც, — უბრძანებს დევაძე.

გელაშვილი მესამეჯერაც ასრულებს ვარჯიშს, მაგრამ ამ ვარჯიშის შესრულების შემდეგ იგი სწორად არ აკეთებს ჩამუქნს. დევაძე ატყობს, რომ გელაშვილმა ეს ელემენტი სუსტად აითვისა და ჩვენებას საჭიროებს.

— შეხედეთ, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ჩამუქნი. დევაძე უჩვენებს ხერხებს. ის სცილდება ლერძს, დგება ცერებზე, ქუსლები ერთად უჭირავს, ტანი გამართული აქვს, აკეთებს წინმკლავს და სწრაფად ზეზე დგება.

— გაიმეორეთ! — უბრძანებს დევაძე მებრძოლს.

გელაშვილი ვარჯიშს იმეორებს და კმაყოფილი დგება წყობილებაში. ლერძთან მიდის შემდეგი მებრძოლი, — ჩხუტიშვილი.

ტაქტიკურ მეცადინეობაზე

მეცადინეობის თემაა საგუშაგო პოსტის სამსახური, — აცხადებს უფროსი სერჟანტი, ამის შემდეგ იგი მოკლედ განმარტავს მის შინაარსს და ამოწმებს მებრძოლების მიერ წესდებათა მოთხოვნების ცოდნას თემის მიხედვით.

— გუშაგად დორეული იქნება, მის თანაშემწედ ჩხუტიშვილი; — აცხადებს მეთაური და მებრძოლებს საგუშაგოს უჩვენებს.

წითელარმიელები ხოხვით მიემართებიან საგუშაგოსაკენ. მერე სანგარსა სთხრიან. ათეულის მეთაური თვალ-ყურს ადევნებს მებრძოლების მოქმედებას.

— მოუსმენელს ვრა ნილბავთ? აბლად ამოთხრილი მიწა მკვეთრად გამოირჩევა ყვითელ ველზე!

გუშაგი და მისი თანაშემწე შეცდომას ასწორებენ. ამავე დროს ხახიაშვილი ერთ-ერთ მებრძოლს ჰგზავნის „მოწინააღმდეგის" აღსანიშნავად. მისი სიგნალით წითელარმიელი მიდის გუშაგისაკენ და საგუშაგოს უახლოვდება.

— საშვები! — შესძახა გუშაგმა მოახლოვებულ მებრძოლს. მან კი საშვები არ იცის.

— ზურგისაკენ, იარაღი დააწყვე, — ხელები მაღლა! — უბრძანებს დორეული და სიგნალით მოუხმობს ათეულის მეთაურს.

უფროსი სერჟანტი გუშაგის მოქმედებას სწორად სთვლის. ამის შემდეგ მან თავისი ათეული სხვა ადგილას გადაჰყავს, გუშაგად და მის თანაშემწედ კი სხვა მებრძოლებს ნიშნავს. მეცადინეობა საინტერესოდ ტარდება. მებრძოლები ყველაფერს პრაქტიკულად ასრულებენ. ის, ვინც სუსტად ითვისებს, ერთი და იგივე მოძრაობას რამდენიმეჯერ იმეორებს.

მეცადინეობის დასასრულს უფროსი სერჟანტი გაკვეთილს მოკლედ არჩევს და თვითეულ მებრძოლს აძლევს შეფასებას.

უკანასკნელ საათში მებრძოლები ვარჯიშობენ საწყობრო მომზადებაში. სწავლობენ შემობრუნებას სიარულის დროს. რთული თემა არ არის, მაგრამ უფროსი სერჟანტი ცდილობს მისმა ხელქვეითებმა ყველაფერი ეს ზუსტად შეასრულონ.

იარაღის გაწმენდა

უფროსი სერჟანტი იარაღის გაწმენდასაც მებრძოლთა სწავლებისათვის იყენებს. შაშხანის დაშლის დროს მეთაური თვალ-ყურს ადევნებს, რომ მებრძოლებმა ისე იმოქმედონ, როგორც ამას დარიგება მოითხოვს.

— რა ეწოდება ამ დეტალს? — ეკითხება ის რიგითი მებრძოლ ჩხუტიშვილს.

— ამომგდები.

— ეს რა დეტალია? — ეკითხება ის მეორე წითელარმიელს.

— საკეტის ღერო სახელურით.

ამრიგად, ყოველდღიურად, იარაღის გაწმენდის დროსაც კი სრულყოფენ მებრძოლები მატერიალური ნაწილის ცოდნას.

იარაღის გაწმენდის შემდეგ მებრძოლები სადილობენ. მერე ისვენებენ და მიდიან თვითმომზადებისათვის.

უფროსი სერჟანტი ხახიაშვილი მორიგი დღისათვის ემზადება, ადგენს კონსპექტს.

ორი მებრძოლის საუბარი

მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს დორეული და ჩხუტიშვილი აჯამებენ სასწავლო დღეს და ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ.

— თუმცა მე რამდენჯერმე ვყოფილვარ გუშაგად, — ამბობს დორეული, — მაგრამ მაინც არ ვიცოდი, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როდესაც მოწინააღმდეგე ჩემს საგუშაგოს მოუახლოვდებოდა. აი, დღევანდელ მეცადინეობაზე მე კარგად ავითვისე გუშაგისა და მისი თანაშემწის მოვალეობანი.

— იმიტომ, რომ ყველაფერს პრაქტიკულად ვასრულებდით, — დაემოწმა ჩხუტიშვილი. დღეს მეც შევისწავლე გუშაგისა და მისი თანაშემწის მოვალეობანი. გარდა ამისა, ვისწავლე ხოხლობის გადალახვა.

სამუშაო დღე დამთავრდა, მებრძოლები ისვენებენ.

ოცეულის მეთაურის თანაშემწე
უფროსი სერჟანტი
ქ. ხატიაშვილი

აღმოსავლეთ პრუსიაში. საბჭოთა შენაერთ არტილერიას გადააქვს გერმანის ქალაქ მოწინავე... ტის ქუჩებში.

სერჟანტი ზ. ბიბინეიშვილი



აგიტატორის უბის წიგნაკიდან

4*

წითელარმიელი ჯამასპიშვილი სასროლეთიდან ყოველთვის მოწყენილი ბრუნდება. როდესაც რაიმეს შეეკითხები იგი დაბნეულად, სრულიად შეუფერებელ პასუხს იძლევა. მას, არაერთხელ დაურღვევია შინაგანაწესიც. ხან იარაღს არ დასდებდა თავის ადგილზე, ხან თოფის საწმენდ ზეთს დაღვრიდა. დღეს სრულიად უმიზეზოდ შეიგინა ჯამასპიშვილმა და საცხოვრებელ ბინიდან გარეთ გავიდა.

— რა მოუვიდა? — განცვიფრებით კითხულობენ მებრძოლები.

მე ჩემი ნაღმსატყორცნი თავის ადგილას დავდგი და ჯამასპიშვილს ფეხდაფეხ გავყევი, მაგრამ უცბად ვერ ვიპოვე. მხოლოდ უკან დაბრუნებისას შევნიშნე, რომ იგი ხესთან იჯდა ღრმად ჩაფიქრებული. ახლოს მივედი და მის გვერდით ჩამოვჯექი. მან ყურადღებით შემომხედა და ღრმად ამოიოხრა.

— ამხანაგო სერჟანტო, მე ძლიერ მწყინს. ხელმეუხვევნებლივ ვმუშაობ, ვსწავლობ მატერიალურ ნაწილს, თითქოს ყველაფერი ვიცი, მაგრამ აი, წავალ სასროლეთზე და ამოცანას ვერ ვასრულებ.

— რა თქმა უნდა, საწყენი არის ეს, მაგრამ სულით არ უნდა დაეცე. ამით ხომ საქმეს ვერ გამოასწორებ. უფრო მეტი შეუპოვარი მეცადინეობა და მუშაობაა საჭირო.

— ადვილი სათქმელია: „სულით არ დაეცე“... — მიპასუხებს იგი.

— ჯამასპიშვილო, მე დაგეხმარები. შენ ხომ იცი, რომ „ფრიადოსანი ნაღმსატყორცნელის“ სამკერდე ნიშანი მივიღე. გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ და ყველაფერი გამოსწორდება.

იგი დამეთანხმა. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მე თავიდანვე შევნიშნე თუ რატომ ისროდა ცუდად ჯამასპიშვილი. იგი გასროლის დროს ხუჭავდა თვალებს. ეს მას უკვე თვისებად გადაექცა. გადაჩვევა მხოლოდ სისტემატური და შეუპოვარი ვარჯიშით შეიძლებოდა.

მე ენერგიულად ვეხმარებოდი მას. ამით მე ვეხმარებოდი ჩვენი ოცეულის მეთაურსაც მებრძოლის აღზრდაში. მე მას ვუთითებდი შეცდომებზე, ვუჩვენებდი, თუ როგორ შეიძლებოდა მათი გამოსწორება. და თანდათანობით, ყოველ ნაბიჯზე იგი ეუფლებოდა ზუსტი სროლის ოსტატობას.

* * *

... გავიდა დრო. დადგა გამოცდების დღე. ჩვენ ყველანი ვღელავდით, თუმცა კარგად ვიცით, რომ ეს საქმეს კი არ უშველის, არამედ პირიქით აფერხებს კიდევაც. მე ვამშვიდებ ამხანაგებს, თუმცა მეც ვღელავ. ჩემი სიტყვა დამამშვიდებლად მოქმედობს ამხანაგებზე. მათი მეგობრული თანაგრძნობა ჩემშიც კარგ განწყობილებას იწვევს.

მე და ჯამასპიშვილი დღეს გამოცდებს ვაბარებთ. სასროლეთზე მოვიდა ნაწილის მეთაური. მან გადაწყვიტა შეამოწმოს, თუ როგორ ვისვრით ჩვენ. ბრძანა ჩვენთვის საბრძოლო ნაღმები მოეცათ. ჯამასპიშვილი საუცხოოდ მოქმედებდა.

— ყოჩაღ! აი ეს ნამდვილი ნაღმსატყორცნელია, — სთქვა ნაწილის მეთაურმა და მას მადლობა გამოუცხადა.

ჯამასპიშვილმა მგზნებარედ და სიამაყით უპასუხა: — ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

მე სიხარულით ვუყურებდი ამ სცენას და ვფიქრობდი, ნეტავ ყველაფერი ეს ხდებოდეს არა აქ, სასროლეთზე, არამედ ფრონტზე, სადაც მიზანში ასე ზუსტად მოხვედრით, ვერაგ მტერს გავანადგურებდით.

ვიღაცამ ხელი შემომხვია. მოვიხედე და დავინახე ჯამასპიშვილი. მან სიხარულით მითხრა:

— გმადლობთ, ამხანაგო სერჟანტო! დიდად გმადლობთ...

არ შემიძლია ამ სასიხარულო წუთების შესახებ დღიურში არ ჩავწერო, ეს წუთი ჩემთვის, როგორც აგიტატორისათვის, ყველაზე მაღალი ჯილდო იყო.

*) გაგრძელება, დასაწყისი იხ. №№ 140, 142.

მოწინავე მებრძოლი პარტიის რიგებში

ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესვლა დიდი ხანია წარმოადგენდა წითელარმიელ ცუცბას ოცნებას. მას ამის შესახებ არაერთხელ ჰქონია ლაპარაკი ოცეულის კომუნისტებთან. მაგრამ ამხ. ცუცბა გრძნობდა იმასაც, რომ მარტოოდენ სურვილი არა კმაროდა.

— კომუნისტი პირველყოვლისა მოწინავე, მაგალითის მაჩვენებელი მებრძოლი უნდა იყოს — იმუშავე საკუთარ თავზე, გახდი საბრძოლო საქმის ოსტატი, მაშინ პარტიაში მიღებაზე უარს არავინ გეტყვის, — ურჩიეს მას კომუნისტმა ამხანაგებმა.

ამხ. ცუცბამ დაიწყო ენერგიული მეცადინეობა. იგი თავისუფალ საათებშიც დამატებით სწავლობდა საბრძოლო იარაღს. ტაქტიკურ მეცადინეობაზე გულმოდგინედ ისმენდა ათეულის მეთაურს, წარმატებით ასრულებდა მის ყველა მითითებას.

ენერგიული მეცადინეობით წითელარმიელი ცუცბა მალე დაწინაურდა. დაზვერვაში მას ავალებდნენ იმ საბრძოლო ამოცანის შესრულებას, რომელიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს, მოხერხებულობასა და პირად ინიციატივას მოითხოვდა. ღამის ძიებაში მან არაერთხელ მოიყვანა „ენა“. მეთაურის მადლობაც დაიმსახურა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე იგი „ფრიადოსანი მზვერავის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს.

მებრძოლი ცუცბა საკმაო დროს პოულობდა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. იგი ყურადღებით ისმენდა აგიტატორს, კითხულობდა გაზეთებს, მეცადინეობდა რუკაზე. განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა იგი ბელადის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას. ბრძნული სტალინური დოკუმენტების გარშემო მან ორჯერ მოისმინა ლექცია-საუბრები, რომლებიც დიდი დახმარება გაუწია მოხსენებისა და ბრძანების ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობის დროს.

ახლა, როგორც იტყვიან, ამხ. ცუცბას მაგარი წელი ჰქონდა და დაიწყო საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიღებისათვის საჭირო დოკუმენტების გაფორმება. კომუნისტმა ამხანაგებმაც სიამოვნებით მისცეს რეკომენდაცია.

პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც ამხ. ცუცბას საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების საკითხი ირჩეოდა, სიტყვით გამოსული კომუნისტები ერთსულოვნად ლაპარაკობდნენ, რომ უკანასკნელ ხანებში ამხ. ცუცბამ დიდი წარმატება მოიპოვა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, რომ იგი ფრიადოსანი მებრძოლი გახდა, მაგრამ ამავე დროს ისინი მიუთითებდნენ, რომ წითელარმიელ ამხ. ცუცბას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება იმისათვის, რათა თავისი საქმის სრულყოფილი ოსტატი, მოწინავე მეომარი გახდეს.

ამხ. ცუცბამ პარტიულ ორგანიზაციას მოუთხრო თავისი მუშაობის შესახებ და პირობა მისცა რომ მომავალში გაორკეცებული ენერგიით იმუშავებს, ყოველ საქმეში იქნება საუკეთესო, მაგალითის მიმცემი მებრძოლი.

სერჟანტი ლ. ზურანძე

ლვოვის ოლქის ტერიტორიაზე გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ

(გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან).

გერმანელი დამპყრობლები რომ 1941 წლის 30 ივნისს ქალაქ ლვოვში შეიჭრნენ, ლვოვის ოლქი გამოაცხადეს „გალიციის დისტრიქტად“ და აქ შემოიღეს მშვიდობიანი მოსახლეობის თავაშვებული ძარცვის, ძალადობის, წამების, მასობრივი დახვრეტისა და მკვლელობის ეგრეთწოდებული „ახალი წესრიგი“.

ადამიანთა ჟლეტის სისტემის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო გერმანიის რაიხს-მინისტრი ჰიმლერი, რომელიც არაერთხელ მისულა ლვოვს მისი ნებით დაწესებულ „სიკვდილის საწარმოთა“ მუშაობის საინსპექციოდ და შესამოწმებლად.

საგანგებო სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ ლვოვსა და ლვოვის ოლქის სხვა რაიონებში გერმანელმა დამპყრობლებმა გაჟლიტეს დაახლოებით 700 ათასი საბჭოთა ადამიანი — მამაკაცები, ქალები, ბავშვები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქვეშევრდომნი, რომლებიც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან მოჰყავდათ.

* * *

გესტაპოელთა რაზმებს ჯერ კიდევ ლვოვის დაკავებამდე ჰქონდათ გერმანიის მთავრობის მითითებით შედგენილი სია ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლებისა, რომლებიც უნდა გაეჟლიტათ. ქალაქის დაკავებისთანავე დაიწყო მასობრივი დაპატიმრება და დახვრეტა.

ადამიანური ღირსების დამამცირებლად გერმანელები მიმართავდნენ დაპატიმრებულ მეცნიერთა საშინელ წამებას, შემდეგ კი ხვრეტდნენ მათ. ქალაქ ლვოვის მცხოვრებმა ვ. ო. გოლდმანმა აჩვენა, რომ მან თვითონ ნახა, თუ როგორ მოიყვანეს ს-ელებმა არტიშევსკის ქუჩაზე № 8 სახლის ეზოში 1941 წლის ივლისში 20 კაცი, რომელთა შორის იყვნენ ოთხი პროფესორი, ადვოკატები და ექიმები. ჰიტლერელებმა აიძულეს ისინი ენითა და ტუჩით ერეცხათ ოთხსართულიანი სახლის კიბე, ხოლო შემდეგ ტუჩით ერთ ადგილას მიეგროვებინათ ნაგავი ეზოში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ გესტაპოელებმა ამ ჯგუფში აარჩიეს 5 კაცი, ქალაქ გარეთ გაიყვანეს და დახვრიტეს. გამოკვლევით დადგენილია, რომ ოკუპაციის პირველსავე თვეებში გერმანელებმა ლვოვში დააპატიმრეს და მოჰკლეს მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების 70-ზე მეტი გამოჩენილი მოღვაწე.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოაწყეს მშვიდობიანი მოსახლეობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მასობრივი ჟლეტა.

1941 წლის ნოემბერში ქალაქ ლვოვის იანოვსკის ქუჩაზე შექმნილი იყო ეგრეთწოდებული „იძულებით სამუშაოთა ბანაკი“, იგი შემოღობილი იყო ეკლიანი მავთულით. გერმანელები აქ მოერეკებოდნენ მშვიდობიან მოქალაქეებსა და სამხედრო ტყვეებს, დაპატიმრებულთ ხოცავდნენ შიმშილით, აიძულებდნენ აუტანელი სამუშაოს შესრულებას, მხეცურად სცემდნენ ჯოხს, ავადებდნენ ტიფითა და დიზენტერიით, ადამიანები ათასობით იხოცებოდნენ შიმშილით, ტიფით, დიზენტერიით და დახვრეტით.

„მე პირადად ვნახე, — აცნობა კომისიას ბანაკის ყოფილმა პატიმარმა ამმე, — თუ როგორ ახრჩობდა სს-ს თვით ჰაუპტშტურმფიურერი ფრიც გებაუერი ქალებსა და ბავშვებს, ხოლო მამაკაცებს ზამთარში წყლიან კასრებში ჰყინავდა. მსხვერპლთ უკრავდნენ ხელ-ფეხს, ჩასვამდნენ კასრში და ამყოფებდნენ იქ, სანამ მთლად არ გაიყინებოდნენ“. კომისიამ ზუსტად დაადგინა, რომ გერმანელი ბანდიტები „იყენებდნენ“ ადამიანთა ჟლეტის ყველაზე საშინელ მეთოდებს, ამასთან ყოველივე ამას ისინი განსაკუთრებული ღირსების საქმედ სთვლიდნენ და მთავარი სამხედრო სარდლობა და მთავრობა აქეზებდნენ ამისათვის. მაგალითად, სს-ს ჰაუპტშტურმფიურერს ფრანც ვარცოკს უყვარდა დაპატიმრებულთა ბოძებზე ფეხებით ჩამოკიდება და ასე სტოვებდა მათ, სანამ არ დაიხოცებოდნენ. ობერშტურმფიურერი როკიტა პირადად უფატრავდა მუცელს დაპატიმრებულთ. იანოვსკის ბანაკის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ჰაინე ჯოხით ან რკინის ნაჭრით უხვრეტდა სხეულს დაპატიმრებულთ. ქალებს ზოგჯერ ჰგლეჯდა ფრჩხილებს, აშიშვლებდა თავის მსხვერპლთ, ჩამოკიდებდა თმით, არხევდა და ესროდა „მოძრავ სამიზნეს“. ბანაკის კომენდანტი ობერშტურმფიურერი ვილჰაუზი სპორტისათვის და თავისი ცოლისა და ქალიშვილის სიამოვნებისათვის ბანაკის კანცელარიის აივნიდან სისტემატიურად ესროდა ავტომატს დაპატიმრებულთ, რომლებიც სახელოსნოებში მუშაობდნენ, შემდეგ ავტომატს გადასცემდა ცოლს და ისიც ასევე ესროდა. ზოგჯერ, თავისი ცხრა წლის ქალიშვილისათვის რომ ესიამოვნებინა, ვილჰაუზი უბრძანებდა ჰაერში აეგდოთ 2-4 წლის ბავშვები და ესროდა მათ. ქალიშვილი ტაშს უკრავდა და იძახდა: „მამილო, კიდევ, მამილო, კიდევ!“ და მამაც ესროდა.

ბანაკში დაპატიმრებულთ სრულიად უმიზეზოდ ხოცავდნენ, ხშირად სასაცილოდ. მოწმე ქალმა რ. ს. კირშნერმა საგამომძიებლო კომისიას აცნობა, რომ გესტაპოს კომისარი ვეპკე ბანაკის სხვა ჯალათებს დაენაძლავა იმაზე, რომ იგი წალდის ერთი დაკვრით გაჩეხავდა ბავშვს. მათ არ დაუჯერეს. მაშინ მან ქუჩაში დაიჭირა ათი წლის ბიჭი, დააჩოქა, ხელისგულები ერთმანეთზე მიატანინა და ზედ თავი დაადებინა, მიიზომა, ბავშვს თავი გადაუწია და ჯალათმა წალდის ერთი დაკვრით შუა გააპო ბავშვი. ჰიტლერელებმა მხურვალედ მიულოცეს ვეპკეს, მაგრად ართმევდნენ ხელს და აქებდნენ.

გერმანელები ტანჯვა-წამებასა და დახვრეტას მუსიკით აწყობდნენ. ამ მიზნისათვის მათ სპეციალური ორკესტრი მოაწყეს პატიმართაგან და წინადადება მისცეს შეედგინათ განსაკუთრებული მელოდია, რომელსაც „სიკვდილის ტანგო“ უწოდეს. ბანაკის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე გერმანელებმა ყველა ორკესტრანტი დახვრიტეს.

სულ იანოვსკის ბანაკში ფაშისტებმა 200 ათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანი დახვრიტეს.

1941 წლის ივლისში გერმანიის სამხედრო სარდლობამ ქალაქ ლვოვის ცენტრში, ციხის ტერიტორიაზე, რომელსაც „ციტადელი“ ეწოდება, საკონცენტრაციო ბანაკი შექმნა სამხედრო ტყვეებისათვის. გერმანელები სიკვდილის მუქარით ამუშავებდნენ პატიმართ დილიდან შუაღამემდე. ბანაკის სადგომები არ თბებოდა. დაპატიმრებულთ ათიათასობით ხოცავდნენ შიმშილით, ცემით, ავადმყოფობით და ხვრეტდნენ. დადგენილია, რომ ამ ბანაკის არსებობის განმავლობაში იქ დამწყვდეული იყო 280 ათასზე მეტი სამხედრო ტყვე, რომელთაგან შიმშილით, ავადმყოფობით, წამებითა და დახვრეტით 140 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.

მშვიდობიან მოსახლეობასა და სამხედრო ტყვეებს გერმანელები მასობრივად ხვრეტდნენ აგრეთვე ლისინიცკის ტყეში, ლვოვის გარეუბანში. აქ დახვრეტილია 200 ათასზე მეტი კაცი.

1941 წლის სექტემბერში ლვოვში მოწყობილი იყო გეტო, რომელსაც გერმანელებმა „იუდენლაგ“—ებრაელთა ბანაკი უწოდეს. გეტო ქალაქის განაპირას მდებარეობდა. ბანაკის ტერიტორია შემოღობილი იყო და გარს ერტყა მავთული. გეტოდან გამოსვლის ნება არავის არ ჰქონდა. სამუშაოზე და სამუშაოდან ებრაელები ბადრაგით დაჰყავდათ. ბანაკში 136 ათასი კაცი იყო. ცხოვრების პირობები გეტოში საშინელი იყო—ადამიანებს ცარიელ იატაკზე და ცის ქვეშ ეძინათ, ებრაელებს უფრო ცუდად ამყოფებდნენ, ვიდრე პირუტყვს. გერმანელები ქალაქში ებრაელთა მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას ეწეოდნენ. ისინი არ ინდობდნენ არც მამაკაცებს, არც ქალებსა და არც ბავშვებს. მოზრდილებს სულ ებრალოდ ჰკლავდნენ, ხოლო ბავშვებს ჰიტლერულ ახალგაზრდობის რაზმებს აძლევდნენ სამიზნედ სროლის დროს. გეტოს არსებობის განმავლობაში, 1941 წლის 7 სექტემბრიდან 1943 წლის 6 ივნისამდე გერმანელებმა 130 ათასზე მეტი კაცი დახოცეს.

საბჭოთა ადამიანების მასობრივი ჟლეტა სწარმოებდა აგრეთვე ლვოვის ოლქის სხვა ქალაქებში.

* * *

საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილია აგრეთვე, რომ გერმანიის მთავრობა ლვოვის ოლქის ბანაკებში სისტემატიურად გზავნიდა უცხო სახელმწიფოების სამხედრო ტყვეებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

უცხო სახელმწიფოების სამხედრო ტყვეებს გერმანელები ასრულებინებდნენ აუტანელ სამუშაოს, სცემდნენ, შიმშილით ხოცავდნენ, განზრახ ჰკლავდნენ. შარანტის დეპარტამენტის ქალაქ ანგულემის მცხოვრებმა ფრანგმა ემილ ლეჟემ, რომელიც გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს შამპანში (საფრანგეთი) 1940 წლის 13 ივნისს, გვაცნობა: „ჩემი ტყვეობის პირველი წუთებიდანვე მე მომიხდა ჩემს თავზე გამომეცადა გერმანელების მიერ ხმარებული სასტიკი მეთოდები... სიკვდილის მუქარით ჩვენ გვაიძულებდნენ გვემუშავნა დაუსვენებლივ, საკმაო საჭმლის მიუღებლად. ჩვენ გამოფიტული, ჭუჭყიანი, მატლებით სავსე, ფეხშიშველი ვიყავით, ჩვენი ტანისამოსი დაფლეთილი იყო“.

ლიოთ კლემანმა საგამომძიებლო კომისიას უამბო გერმანელთა ბანაკების საშინელებათა შესახებ, რომლებიც მან, როგორც ტყვემ, გადაიტანა. „სამხედრო ტყვეთა რავა-რუსკის ბანაკს, სადაც მე 1942 წლის 3 სექტემბერს მივედი, ინგლისელებმა „ნელი სიკვდილი“ უწოდეს. ამ ბანაკში წყალსადენის ერთი ონკანი იყო 12 ათას კაცზე. იმით სარგებლობა ნებადართული იყო დღეში მხოლოდ 4-5 საათს.“ გერმანელმა [illegible]

(დასასრული მე 4 გვ.)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
27 დეკემბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

ტყემლი დაჯგუფების მოსასპობად. ტყვეები აჩვენებენ, რომ გერმანელთა სარდლობამ თავის ჯარებს უბრძანა წინააღმდეგობა გაეწიათ უკანასკნელ ჯარისკაცამდე. ბუდაპეშტის სამხრეთ-აღმოსავლეთით საბჭოთა ნაწილებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებულ პოზიციებზე. გაჩაღებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა ქვეითებმა გადალახეს სანგრების ხუთი ხაზი, მავთულხლართის ორი ხაზი და მთლიანად დანაღმული ველების ორი უბანი. ჩვენმა ჯარებმა თანდათან გააძლიერეს დარტყმები და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტები მაგლოდი, ეჩერი და ვეჩეში. გარეუბანი ვეჩეში უნგრეთის დედაქალაქიდან 12 კილომეტრზე მდებარეობს. გერმანელები განდევნილი არიან აგრეთვე გარეუბან ჩეპელიდან, რომელიც ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კილომეტრზე მდებარეობს.

შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ბუდაპეშტის დასავლეთ გარეუბნებში. ჰიტლერელებს ქვიტკირის სახლები საცეცხლე წერტილებად გადაექციათ და გამაგრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. საბჭოთა მებრძოლები ზედიზედ იღებენ იერიშით სახლებსა და [illegible]

[illegible]

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში ბრუნდება ფინელების მიერ გატანილი ღირებულებანი

პეტროზავოდსკი, 25 დეკემბერი. (საქინი). ფინეთიდან მოვიდა 8 ვაგონი ხე-ტყის ქარხნების მოწყობილობა და ლიტერატურა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიების ფიზიკური და ქიმიური ხელსაწყოები. კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში გადმოზიდულ იქნა მოლის სამრეწველო მოწყობილობა და კულტურული ღირებულებანი, რომლებიც ფინელებმა ოკუპაციის პერიოდში გაიტანეს. უკვე მოვიდა 180 ვაგონი.

პეტროზავოდსკი, 25 დეკემბერი. (საქინი). ფინეთიდან პეტროზავოდსკს დაუბრუნეს ფინელი ოკუპანტების მიერ ომის დროს გატანილი [illegible] კოლექცია, და ქანდაკებანი, რომლებიც კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქის პიონერთა სასახლეს, ბაღებსა და სკვერებს ამშვენებდნენ.

ლვოვის ოლქის ტერიტორიაზე გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ
(დასასრული)

დაბუდებულნი. იმნაირ დანაშაულისათვის სიკვდილი ეჩქარება. წყლის სმის ნებას არ გვაძლევდნენ. ჩვენ გვიმშილობდით". ხაზგასმით დასჯილებულთ ამყოფებდნენ სადგომში, სადაც ტემპერატურა 10-16 და 20 გრადუსი [illegible]

[illegible]

და ძვლების ნაწილებს ცხრილავდნენ სპეციალური ცხრილით, რათა მოეგროვებინათ ოქროს ნივთები—კბილის ოქრო, ბეჭდები, საათები. მოწმეებმა ველიჩკერმა, ხაიდესმა [illegible]

[illegible]

საქართველოს ჩაის მრეწველობამ წლიური გეგმა შეასრულა

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა გაიმარჯვეს მუშაობა წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის და სტალინურ წარმატებას მიაღწიეს. ჩაის პროდუქციის გამომუშავების 1944 წლის გეგმა 26 დეკემბრისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული.

ნატურალური პროდუქციის გამომუშავების გეგმის გადაჭარბებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის გამომუშავება უმაღლესი ხარისხის. შემდეგმა საწარმოებმა: თბილისის (დირექტორი ამხ. ზიგუაძე) გეგმა შეასრულა 122,3 პროცენტით, ნაღლაკის (დირექტორი ამხ. თოთიბაძე) — 115 პროცენტით, სამტრედიის მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. ჭყაპაძე) — 147,5 პროცენტით, გილის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. კორძაია)—107,4 პროცენტით, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ცინცაძე) — 103 პროცენტით, ნიგვზიანისამ (დირექტორი ამხ. ტაკიძე) —108,5 პროცენტით, ხუცუბნისამ (დირექტორი ამხ. ანდღულაძე) — 101,5 პროცენტით.

თბილისის ჩაის დაფასოებების ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ნაპერიშვილი) წლიურ გეგმის გადააჭარბა.

მწვანე ფოთლის ჩაის გამომუშავების გეგმა 20 დეკემბრისათვის უკვე შესრულებული იყო 92,1 პროცენტით.

ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულება

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა („ცეკავშირი") ციტრუსების ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია სულ 105.968.000 ცალი ციტრუსების ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 105.584.000 ცალისა. დამზადება გრძელდება.

დ. ი. ბაქრაძე ხარაგოულში

ამ დღეებში ხარაგოულში ჩამოვიდა უკრაინის 1-ლი პარტიზანული პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ილიას-ძე ბაქრაძე, უკრაინის პარტიზანული მოძრაობის შტაბის წარმომადგენელი პოლკოვნიკი მაიორი დ. ი. ნოვაკოვსკი და პარტიზანი ი. რუხაძე.

გმირის შესახვედრად შეიკრიბნენ დაბა ხარაგოულის მუშა-მოსამსახურეები, შეხვედრა მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ორგანიზაციის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დ. ტაბატაძემ. გმირს მიესალმნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ორგანიზაციის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. ვ. კაკნაძე, კომკავშირული ორგანიზაციების სახელით — ამხ. ც. კაკნაძე, მარცვლის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივის სახელით ამხ. ა. შარიქაძე და მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით თ. სახვაძე.

მარადიული ბრძოლის [illegible]

[illegible]

28

დეკემბერი

1918—ვ. ი. ლენინის წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებისადმი დენიკინზე გამარჯვების გამო.

ნ ა რ ე ვ ი

მბრწყინავი თვალები

სიბნელეში კატის თვალები ბრწყინავენ. ფიქრობენ რომ კატის თვალები ბრწყინავენ საკუთარი სინათლით, ისე როგორც ციცინათელა, მაგრამ ეს ასე არ არის.

სრულ სიბნელეში კატის თვალები სრულებით არ ბრწყინავენ, მაგრამ საკმარისი იქნება სინათლე, რომ მათ ბრწყინვა დაიწყონ. გამორკვეულია, რომ კატებსა და ღამის ფრინველებს თვალის სიღრმეში აქვთ განსაკუთრებული ნივთიერების ნაწილაკები, რომლებიც გარდატეხენ სხივებს. გარეთა ასახავენ სინათლის სხივს, რომელიც თვალზე ეცემა და აირეკლავს ისევე, როგორც პრიჟექტორი.

კატის თვალები დღითაც ბრწყინავენ, მაგრამ დღე სინათლეში ეს ბრწყინვა არაა შესამჩნევი. ადამიანის თვალებში არაა გარსინი, ამიტომაც ჩვენი თვალები არ ბრწყინავენ.

კაჭაჭინა წიგნაკი

ცნობილი რუსი იგავთმწერლის კრილოვის იგავ-არაკები მრავალჯერ არის გამოცემული რუსულ და უცხოურ ენებზე. მაგრამ მათ შორის ყველაზე საინტერესო გამოცემა არის „კრილოვის იგავ-არაკები", რომელიც გამოცემული რუსი მეცნიერების მიერ 1855 წელს მოსკოვში. ეს პაწაწინა წიგნაკი 30 ხაზიან შეიცავს, მასში მოთავსებულია 30 იგავ-არაკი. (კრილოვმა სულ 205 იგავ-არაკი დაწერა).

ამ პაწაწინა წიგნაკის ფურცლების ზომა ცოტათი მეტია ჩვეულებრივი საფოსტო მარკის ზომაზე. წიგნს ჩაბეჭდილობაზე აქვს დაკრილოვის იგავთმწერლის კრილოვის პორტრეტი. ეს წიგნაკი რომ დაებეჭდათ, საჭირო შეიქმნა სპეციალური შრიფტის ჩამოსხმა. წიგნის აწყობამ ერთი წელი და იგი დაიბეჭდა 50 ეგზემპლარად.

ამ პაწაწინა წიგნაკის ორი ეგზემპლარი ინახება მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

გეოლოგიური ექსპედიციები ლენინგრადში დაბრუნდნენ

ლენინგრადში დაბრუნდნენ გეოლოგიური ექსპედიციები, რომლებიც კვლევას აწარმოებდნენ ლენინგრადისა და ნოვგოროდის ოლქთა რაიონებში. წელს გეოლოგებმა ერთიანად ეძებდნენ ქალაქების აღსადგენად საჭირო სხვადასხვა სამშენებლო მასალის საბადოებს. ლენინგრად-ორანიენბაუმის უბანზე და მარგოლოვის რაიონში მათ მინერალური საღებავების ახალი საბადო აღმოაჩინეს. აღმოჩენილია მარმარილოს ფენები, რომელთაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ლენინგრადის მოთხოვნილება პირველხარისხოვან მოსაპირკეთებელ მასალის მხრივ. აღმოჩენილია ახალი ნედლეულის ბაზები მინისა და ფაიფურის ქარხნებისათვის. (საქინი).

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ

მდგომარეობა ბუდაპეშტში

დებრეცენი, 27 დეკემბერი. (საქინი). ბუდაპეშტის გარნიზონის სარდალმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ უნგრეთის დედაქალაქი „ტრაგიკულ ქამს" განიცდის და რომ მოსახლეობა მოვალეა დაიცვას იუსტიციის წესრიგი და დისციპლინა". სარდალი გაფრთხილებას იძლევა, რომ „განაგრძობენ [illegible] ქუჩებში გამოჩენა საღამოს 5 საათის შემდეგ. დასჯილ რაზმებს და მიტროფლებს ნაბრძანები აქვთ ადგილზევე დახვრიტონ „საეჭვო" პირები.

ფაშისტური ორგანიზაცია „ჯვარედინი ისრები" გარდაქმნილია იმპულსურ რაზმებად, [illegible]

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 27 დეკემბერი. (საქინი). [illegible]

[illegible]

პ/მ. რედაქტორი ი. ლაპერაშვილი
პ/მ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარახველი